შეთანხმების ფურცელი

„2017 წლის 19 ივნისის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი)“ №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების“ თაობაზე

უწყება	შენიშვნა	კომენტარი
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტით გათვალისწინებულია სასესხო შეთანხმების პირველი დანართის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გზის სარეაბილიტაციო მანძილის 50 კილომეტრიდან - 25 კილომეტრამდე შემცირება, თუმცა უშუალოდ წერილ-შეთანხმების პროექტში არაფერია ნათქვამი სასესხო თანხის ცვლილებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მოცემული საკითხი საჭიროებს კომპეტენტური ორგანოს მიერ დამატებით განხილვასა და შეფასებას.	არ არის გათვალისწინებული. ADB-ის 2025 წლის 24 თებერვლის წერილის საფუძველზე, 2017 წლის 19 ივნისის საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი) ფარგლებში, სესხის დარჩენილი თანხა (18,437,997.21 აშშ დოლარი) გაუქმდა.
	ამასთან, წარდგენილი ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტის მიმართ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ ტიპის ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რატიფიკაციის სავალდებულო პირობა.	გათვალისწინებული იქნება. ხელმოწერის შემდეგ სასესხო შეთანხმების №2 ცვლილების წერილ-შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინება საქართველოს პარლამენტს რატიფიცირების მიზნით.
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	იმის გათვალისწინებით, რომ 2017 წლის 19 ივნისის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი)“ და ამავე შეთანხმების 2022 წლის 27 აპრილის №1 ცვლილების წერილ-შეთანხმება რატიფიცირებულია, შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 20 სექტემბრის №1293-Iს და 2022 წლის 23 ივნისის №1703-VIIIმსXმპ დადგენილებებით, წარმოდგენილი №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტიც, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ძირითადი შეთანხმებისა და №1 ცვლილების წერილ-შეთანხმების მსგავსად, ხელმოწერის შემდგომ, ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.	გათვალისწინებული იქნება. ხელმოწერის შემდეგ სასესხო შეთანხმების №2 ცვლილების წერილ-შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინება საქართველოს პარლამენტს რატიფიცირების მიზნით.
	ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების დადება.	გათვალისწინებული იქნება.
საქართველოს ეროვნული ბანკი	კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტის მიმართ შენიშვნები არ აქვს.	
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია.	

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ აქვს.	
საავტომობილო გზების დეპარტამენტი	კომპეტენციის ფარგლებში განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.	
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.	
	მოსალოდნელია, რომ აღნიშნული სასესხო შეთანხმების №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების გაფორმება საფინანსო ეკონომიკური თვალსაზრისით დადებით შედეგს მოიტანს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ხელმოწერა.	გათვალისწინებული იქნება.